პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი კვირა 13 აპრილი № 87 (17730) ფასი 2 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმართველ ძალას!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები 1980 წლის პირველი მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

5. დაე საუკუნოდ ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი და საქმე!

6. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! ისწავლეთ იცხოვროთ, იმუშაოთ და იბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!

7. დიდება საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს!

8. გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს!

9. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას!

10. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას!

11. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

12. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობას და ურყევ ერთიანობას!

13. გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას — მსოფლიოს პირველი სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითად კანონს!

გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას!

14. გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს!

დაე, ფართოვდებოდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში!

15. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის!

უფრო სრულად გამოიყენეთ განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობანი!

16. კომუნისტებო! იყავით მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

17. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას, ჩვენი საზოგადოების გავლენიან ძალას!

18. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას! იყავით კომუნიზმის აქტიური მებრძოლნი!

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწეს და საბრძოლო რეზერვს!

19. გაუმარჯოთ საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს! დიდება დედა-ქალს!

მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

20. საბჭოთა მეომრებო! სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, ფიზიკურად და საიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი!

გაუმარჯოს სსრ კავშირის სასიქადულო შეიარაღებულ ძალებს!

21. დაე, საუკუნოდ ცოცხლობდეს საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა დიდ სამამულო ომში!

მარადიული დიდება გმირებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი ყოველ სამუშაო უბანზე!

მთელი ძალები მოახმარეთ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას!

23. დიდება კომუნისტური შრომის ავანგარდში მიმავალ წითელდროშოვან კოლექტივებს, ხუთწლედის დამკვრელებს!

24. მრეწველობის მუშაკებო! განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერება!

უფრო სწრაფად აითვისეთ და ეფექტიანად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი!

დანერგეთ ახალი ტექნიკა, პროგრესული ტექნოლოგია, მოწინავე გამოცდილება!

25. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დააჩქარეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარება! გააძლიერეთ ბაიკალ-ამურის მmagისტრალის მშენებლობის ტემპი!

26. მძიმე მრეწველობის მუშაკებო! აამაღლეთ წარმოების ტექნიკური დონე!

უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სათბობზე, ენერგიაზე, ლითონზე, ნედლეულზე!

27. საბჭოთა მანქანათმშენებლებო! შექმენით დიდმწარმოებლური, ეკონომიური და საიმედო მანქანები, ხელსაწყოები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები!

ყოველნაირად შეუწყვეთ ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას!

28. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! დანერგეთ მაღალეფექტიანი ტექნოლოგია, უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებზე!

29. მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააფართოეთ მისი ასორტიმენტი, გაუმჯობესეთ ხარისხი!

30. მშენებლებო და მემონტაჟეებო! დროულად აამოქმედეთ საწარმოო სიმძლავრეები და ობიექტები, აამაღლეთ კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა!

აშენეთ მკვიდრად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე!

31. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! გაუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის მომსახურება, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნები!

32. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი და დინამიკური განვითარებისათვის! დაჩქარეთ მისი ინდუსტრიალიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპი, განავითარეთ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია!

უფრო აქტიურად განახორციელეთ რუსეთის ნაფსრ არაშავმიწანაადგილი ზონის გარდაქმნის კომპლექსური პროგრამა!

33. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა!

უკეთ გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქი!

34. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებო! გაზარდეთ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა!

სანიმუშოდ მოვაწყოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები!

გავახაროთ სამშობლო უხვი მოსავლით!

35. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! განამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა!

გაადიდეთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა!

36. სოფლის მეურნეობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო, გადამმუშავებელი და სავაჭრო საწარმოების მუშაკებო! არ დაუშვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები!

ყველაფერი, რაც წარმოებულია, ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს!

37. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ მუშაობის ხარისხი, საბჭოთა ადამიანების მომსახურების კულტურა!

38. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ დისციპლინა, გაუფრთხილდით ყოველ სამუშაო წუთს!

ეკონომიურად და ეფექტიანად გამოიყენეთ ლითონი, ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები!

39. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! გაუფრთხილდით და ამრავლეთ სოციალისტური საკუთრება!

რაციონალურად, ყაირათიანად გამოიყენეთ ქვეყნის სიმდიდრენი, დაიცავით მშობელი ბუნება!

40 სახალხო მეურნეობის სპეციალისტებო, გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო! სრულყავით ტექნიკა, ტექნოლოგია, წარმოების მართვა!

იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის!

41. საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ კვლევის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

42. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებო! აამაღლეთ აღმზრდელობითი, საინფორმაციო, პროპაგანდისტული მუშაობის მეცნიერული დონე და ხარისხი!

გამოუმუშავეთ კომუნისტური იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ყოველ საბჭოთა ადამიანს!

43. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ნაწარმოებები!

მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!

44. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ სწავლების ხარისხი! აღზარდეთ მოზარდი თაობა კომუნიზმის, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

45. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მუშაკებო! გაუმჯობესეთ სპეციალისტთა იდეური წრთობა და პროფესიული მომზადება, განავითარეთ მეცნიერება, ამრავლეთ წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში!

46. რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

47. პიონერებო და მოსწავლეებო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებო! მზურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო! შეუპოვრად დაეუფლეთ ცოდნასა და შრომითს ჩვევებს!

ემზადეთ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები!

48. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო! აამაღლეთ სამედიცინო მომსახურების ხარისხი და კულტურა! უკეთ გამოიყენეთ მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები!

49. ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება, ბეჯითად ემზადეთ მოსკოვის „ოლიმპიადა-80“-სათვის!

ფიზიკური კულტურა — საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

50. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს!

დაე, მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე!

51. გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაცად და მძლავრ იარაღს!

52. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა!

გაუმარჯოს მოძმე პარტიებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ერთიანობას და შეკავშირებას!

53. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს!

54. ძმური სალამი მამაც ლაოსელ ხალხს!

55. ძმური სალამი კამპუჩიელ ხალხს, რომელიც დამოუკიდებელ, თავისუფალ, სახალხო კამპუჩიას აშენებს!

56. ძმური სალამი ავღანელ ხალხს, რომელიც ვაუკაცურად იცავს აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს!

57. მხურვალე სალამი ირანელ ხალხს, რომელიც მედგრად ილაშქრებს იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ!

58. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — ექსპლოატაციისა და მონოპოლიების ჩაგვრის წინააღმდეგ, მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალისტური პროგრესისათვის თავდადებულ მებრძოლს!

59. ძმური სალამი კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებს, რომლებიც ვაუკაცურად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

60. მხურვალე სალამი აფრიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და რასიზმისაგან კონტინენტის სრული განთავისუფლებისათვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის!

61. მხურვალე სალამი ზიმბაბვეს ხალხს, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა!

62. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის იბრძვიან!

63. მხურვალე სალამი გმირ ნიკარაგუელ ხალხს!

64. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ!

65. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლთ, რომლებიც საპყრობილეებსა და ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

66. დაე, მტკიცდებოდეს თანამედროვეობის სამი ძირითადი რევოლუციური ძალის — მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლეთამძე კავშირი!

67. მხურვალე სალამი ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის დიქტატის წინააღმდეგ მებრძოლ არაბ ხალხებს!

დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა!

68. ევროპის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის!

69. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა!

70. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ აზიაში მშვიდობის განმტკიცებისათვის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, უშიშროების უზრუნველყოფისათვის!

71. მსოფლიოს ხალხებო! გაძლიერეთ ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, შეიარაღების შემცირებისათვის, დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის!

საკადრისი პასუხი გაეცით იმპერიალიზმისა და ჰეგემონიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აგრესიულ ხრიკებს!

72. მსოფლიოს ხალხებო! თანამიმდევრულად იღვაწეთ ბირთვული და ყოველგვარი სხვა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის!

გადაჭრით დავგმოთ გამალებული შეიარაღების ახალი ტური!

73. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

74. გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

75. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი



13 აპრილი ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების დღეა

ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან ზეცას საჰაერო თავდაცვის ჯარების საავიაციო შენაერთები და ქვედანაყოფები. ისინი მუდამ მზად არიან საიმედოდ დაიცვან მტრის ხელყოფისაგან ყოველივე ის, რაც საბჭოთა ხალხმა შექმნა და მოიპოვა. სწორედ ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების საზეიმო დღეს მიუძღვნა ეს პლაკატი მხატვარმა ა. რუდკოვიჩმა.

საკდესის ფოტოქრონიკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელიც შეიცავს მოწვევას — გაიგზავნოს დელეგაცია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების შეხვედრაზე მშვიდობისა და განიარაღებისათვის. შეხვედრა პარიზში მოეწყობა 1980 წლის 28–29 აპრილს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მიღებული მოწვევა და მიიღო იგი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტებისადმი საპასუხო წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეთანხმება პოლონეთისა და საფრანგეთის მოძმე პარტიების იმ აზრს, რომ პარიზის შეხვედრა ახლანდელ ვითარებაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია და დაადასტურებს კომუნისტური პარტიების აქტიურ როლს მშვიდობისა და განიარაღების საქმეში.

ფრენის მართვის ცენტრი, 11 აპრილი. (საკდესი). „სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„პროგრეს-8“ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის სამუშაო დღე დაიწყო დღეს 10 საათზე და მოსკოვის დროით 23 საათამდე გასტანს.

დასახული პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ახორციელებენ პილოტირებული ფრენის რეჟიმზე სადგურის გადაყვანის ღონისძიებებს. ეკიპაჟი იწვევა სეანსებზე უზრუნველყოფის, ენერგოკვების, თერმორეგულირების სისტემების განკონსერვების, მუშაობს ტექნიკურ დოკუმენტაციაზე. ოქბიტული კომპლექსის საცხოვრებელ ნაკეთურებში დაცულია პირობები, რომლებიც დედამიწისას უახლოვდება: წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 730 მილიმეტრი, ტემპერატურა — 20 გრადუსი ცელსიუსით.

დღეს დაიწყო „სოიუზ-35“ ხომალდით მიტანილი ბიოლოგიური ობიექტების განვითარებაზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შესწავლის ექსპერიმენტები.

დღის განმავლობაში ეკიპაჟმა გახსნა „პროგრეს-8“ სატვირთო ხომალდის ლუკი და დაიწყო სადგურში მიტანილი ტვირთის, კერძოდ, სურსათიანი კონტეინერების, წყლის ტევადობათა გადაზიდვა.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებით, უწონობისადმი ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის ადაპტაციის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. ეკიპაჟის ორივე წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია.

„სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„პროგრეს-8“ სბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ფრენის მართვის ცენტრი, 12 აპრილი. (საკდესი). კოსმონავტიკის დღეს ლეონიდ პოპოვი და ვლადიმერ რიუმინი დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ხვდებიან. რადიოკავშირის დილის სეანსის დროს მართვის ცენტრის პერსონალმა და მეგობრებმა გულთბილად მიულოცეს თავიანთ ამხანაგებს და უსურვეს ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულება.

კომპლექსის ეკიპაჟი განაგრძობს სადგურის საბორტო სისტემების, მოწყობილობისა და სამეცნიერო აპარატურის განკონსერვებას.

ბიოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამის შესაბამისად კოსმონავტებმა აამოქმედეს დანადგარები „ოაზისი“, „ვაზონი“ და „მალაქიტი“, რომელთა მეშვეობითაც შეისწავლიან კოსმოსური ფრენის პირობებში მცენარეთა ზრდა-განვითარების დანადგარი „მალაქიტი“, რომელიც სადგურში „სოიუზ-35“ ხომალდმა მიიტანა, წარმოადგენს ორქიდეების მინიატურულ ორანჟერეას. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ ლამაზი ყვავილების განვითარებაზე დაკვირვება არა მარტო ხელს შეუწყობს ახალი მეცნიერული მონაცემების მიღებას, არამედ დამატებითი კომფორტის შექმნებასა და კარგ განწყობილებასაც შეიქმნის ეკიპაჟს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„პროგრეს-8“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის სბორტო სისტემები ნორმალურად ფუნქციონირებს.

სურათზე: „სოიუზ-35“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი — მეთაური ლ. ი. პოპოვი (მარცხნივ) და ბორტინჟინერი ვ. ვ. რიუმინი ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მოსამზადებელ ცენტრში ფრენისწინა მეცადინეობის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.



საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია ორი წლისაა

კონსტიტუციამ დაამკვიდრა ხალხის სრული გამგებლობა, დებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა საქართველოში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის



უკვე ორი წელია ცოცხლობს და მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის საფუძველზე და ამკვიდრებს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელთა მიერ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებას, რაც კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე კანონზომიერი ეტაპი და დღეისათვის სოციალური პროგრესის ყველაზე მაღალი საფეხურია.

საქართველოს კონსტიტუცია მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და ამავე დროს ითვალისწინებს რესპუბლიკის ისტორიულ, ეროვნულ და სხვა თავისებურებებს. მან დაადგინა მშრომელთა დიადი მონაპოვრები სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, გამოაცხადა საქართველო სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რომელიც სხვა თანასწორუფლებიან რესპუბლიკებთან ერთად გაერთიანებულია სსრ კავშირში. ეს არის ქართველი ხალხის ეროვნული და ამავე დროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროსა და ეროვნების საერთო, ინტერნაციონალური სახელმწიფო, რომელიც მუშაობს, კლუბებსა და ინტელიგენციის, საქართველოს ყველა მშრომელის ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

კონსტიტუციამ დაამკვიდრა ხალხის სრული გამგებლობა, დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება მხოლოდ ხალხს ეკუთვნის. იგი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკური სიფიცოვნის შეადგენენ. კონსტიტუციამ ფართოდ დაახასიათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია.

ლენინური პარტიისა და მისი ყოველი ეროვნული რაზმის ხელმძღვანელი როლის ზრდის მკაფიო გამოხატულებაა ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული პოზიტიური ძვრები, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში მოპოვებული წარმატებანი.

მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოს, აქვს თავისი ტერიტორია, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ, იხევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკები ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა საკითხში.

მოკავშირე რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს თავისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. რომელთა სტრუქტურა, შემადგენლობა და კომპეტენცია განსაზღვრულია რესპუბლიკის კონსტიტუციით და სხვა კანონებით. ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებს. იგი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროსა და ეროვნების თავისუფალ განვითარებას, აბამს მშრომელთა ფართო მასებს სახელმწიფოს მართვაში.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს სსრ კავშირის სუვერენიტეტიც. მაგრამ მათ შორის არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე წინააღმდეგობა, როგორც ეს დამახასიათებელია ბურჟუაზიული ფედერაციისათვის, სადაც დაუსრულებელი დავაა იმაზე, თუ ვინ არის სუვერენიტეტის მატარებელი — ფედერაცია თუ მისი სუბიექტი. ჩვენში ეს გამორიცხულია, რადგან ყველა ეროვნების მშრომელთა მიზნების ერთიანობა უზრუნველყოფს როგორც საკავშირო სახელმწიფოს, ისე მისი შემადგენელი მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების ერთობას. ამიტომ სსრ კავშირის სუვერენიტეტი ჰარმონიულად ერწყმის რესპუბლიკების სუვერენიტეტს. სსრ კავშირი მთელი თავისი ძლიერებით იცავს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკები ერთიანებენ თავიანთ ძალებს საერთო-საკავშირო სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაძლიერებისათვის.

ჩვენში ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა დაინტერესებულია საკავშირო სახელმწიფოს გაძლიერებით, რაც ამავე დროს საკუთარი სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის საიმედო გარანტიაა. საკავშირო სახელმწიფო იყო და რჩება საბჭოთა ხალხების ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და სრულყოფის, კომუნიზმის მშენებლობის მთავარ პირობად. თავის მხრივ, ეროვნული სახელმწიფოებრიობაც ხელს უწყობს საკავშირო სახელმწიფოს განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის დამკვიდრებას. ამიტომ ლენინელთა პარტია თავის საპროგრამო ამოცანად ისახავს მთლიანად გადამოიყენოს და სრულყოს სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმები, მათ შორის ავტონომიური ფორმებიც, ეროვნებათა თავისუფალ განვითარებას, აიოს ერის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება მისი თვითგამორკვევა. იგი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულია და გამოირჩევა თავისი ფორმების მრავალფეროვნებით. ჩვენში დამკვიდრდა საბჭოთა ავტონომიის ისეთი ფორმები, როგორიც არის ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები.

საბჭოთა კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება გაღრმავება, რაც განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის სრულყოფის საფუძველია. ეს ნიშნავს, ერთმანეთისა და ეროვნებათა ურთიერთობა ეფუძნებოდეს ინტერნაციონალიზმის, ეროვნული ინტერესების ერთიანობის, ეროვნული ეგოიზმისა და ნაციონალიზმის, ეროვნული ნიჰილიზმისა და ანარქიზმის, ეროვნული ბოროტებისა და ეროვნული ნაკლოვანებების ერთიანობის, ეროვნული ინფანტილიზმისა და ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული ნიჰილიზმისა და

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲤᲚᲘᲗᲘᲤᲚᲝᲒᲘᲗ მტკიცდება რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. კვლევის მძლავრი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, სახალხო მეურნეობის საკითხებთან მეცნიერების შემდგომი დაახლოება, სამრეწველო საწარმოების მზარდი შემოქმედებითი კავშირი, გამოყენებითი მნიშვნელობის გამოკვლევებისა და ნაშრომების ხვედრითი წონის გადიდება — ასეთია საქართველოს მეცნიერთა საქმიანობის მთავარი მიმართულება მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელზეც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რაოდენ მრავალფეროვანია 1979 წელს რესპუბლიკის მეცნიერთა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივ მ ე ც ნ ი ე რ ებ ა თ ა ყ ვ ე ლ ა დ ა რ გ ის ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, როგორ ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 35-ე წლისთავის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები.

კრება გახსნა საქართველ ო ს ს ს ᲡᲡᲠ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

კრების მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. გორგილაძის მოხსენება „ვ. ი. ლენინი და თანამედროვეობა“.

შემდეგ წაიკითხეს ცნობა ისტორიის დარგის 1979 წლის საუკეთესო ნაშრომისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ. ეს პრემია მიეკუთვნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ი. კაკაბაძეს (სიკვდილის შემდეგ) გამოკვლევისათვის „მოწათმოქმედობა და მისი კულტი ძველ საქართველოში“.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მედლები და პრემიები მიენიჭათ ავრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს 1979 წლის საუკეთესო მეცნიერული შრომებისათვის. ისინი გადაეცათ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ა. უშვერიძეს ნაშრომების ციკლისათვის „კლასიკურ გადაწყვეტათა სპექტრის შესწავლა ველის თეორიის ზოგიერთ მოდელში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბერძნული ფილოლოგიის მეტალოგრიის ინსტიტუტის მეზოთე კურსის სტუდენტს ლ. ხაჩიძეს — მეცნიერული ნაშრომისათვის „ფსალმუნთა ქართული ვერსია და ეროვნული გარემო“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს პ. სურგულაძეს მეცნიერული ნაშრომისათვის „გაზეთები „საქართველოს მოამბე“ და „საქართველოს ფოსტა“ როგორც დიდმნშვნელოვანი პირველწყაროები ამ იერარქიასიისა და ახლო აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის გაგებისათვის (1919-1920 წლები)“.

1979 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ნ. ლანდიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. გუნია, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჯანელიძე, ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბახალდინი, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ხაზარაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის „სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალოგრიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ოკელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ტეხოვი.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველ ო ს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი დაწესებულებების საქმიანობა 1979 წელს მიზნად ისახავდა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, შემდეგნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის „ნაშრომებსა და გამოსვლებში საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები ამოშავებდნენ 183 პრობლემას, 794 თემას, აქედან 118 თემა დამთავრებულია, დაინერგა ან ინერგება წარმოებაში. მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებმა შეასრულეს ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო გეგმები. მეცნიერთა ნაშრომების წარმოებაში დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 30 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კრებაზე დაასახელეს საანგარიშო პერიოდის ძირითადი გამოკვლევები, რომლებსაც დიდი მეცნიერული და ეკონომიკური რეზონანსი აქვს.

ჭიათურის სამთამადნო კომბინატში დაინერგა მანგანუმის მადნებსა და გამდიდრების პროდუქტებში სილიციუმ-ფოსფორიანი ნაერთების განსაზღვრის ექსპრეს-მეთოდი, დამზადდა მანგანუმის შემცველობის კონცენტრაციის გამმსაზღვრელი ხელსაწყოს გაუმჯობესებული მოდელი.

ბეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივმა გამოიკვლია და შეისწავლა ენგურის წყალსაცავის სეისმური რეჟიმის პარამეტრების ცვალებადობა, ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტმა შეიმუშავა საქართველოს ტერიტორიის მეტალოგენური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, სეისმური დარაიონების რუკების შედგენის სქემა.

აკადემიამ შეიმუშავეს შავი ზღვის სანაპირო ზოლის (მდინარე ციგწყალადან გაგრამდე) გამაგრების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია. შედგენილია შავი, აზოვისა და კასპის ზღვების ოუზებს შორის კავკასიის წყლის რესურსების გადანაწილების, სახალხო-სამეურნეო საჭიროებისათვის კოლხეთის დაჭაობებული მიწების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული პროექტები და ა. შ.

მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში ინერგება ფხვნილი სპილენძისა და მანგანუმის ელექტროლიზური ორანგის მიღების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია.

თბილისის გაერთიანება „ელვალმშენებელში“ დაინერგა საწარმოო მაჩვენებლების ავტომატური შეგროვების, დამუშავებისა და შეფასების ორიგინალური სისტემა, რომლის შედეგადაც მიღებულია 280 ათასი მანეთი ეკონომიკური ეფექტი.

ევროვის საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელსაწყოში“ იყენებენ ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი ახალი ტიპის ფოტოპოტენციომეტრს, რომლის ეკონომიკურმა ეფექტმა წელიწადში 97 ათასი მანეთი შეადგინა; ჯუზყაზგანის ჰიდრომეტალურგიულ კომბინატში მოქმედებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული წარმოების მართვის ავტომატური სისტემა.

ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანასა და მოსკოვის მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში დაინერგა კონტაქტური შეღებების ავტომატი, რომელიც მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა. გარდა ამისა ქართველ მეცნიერთა ნამუშევრები წარმატებით ინერგება ქალაქ ტოლიატის საავტომობილო ქარხანაში, ლენინგრადის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში, ლატვიის სს რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანება „ბიოქიმრეაქტივში“ და მოძმე მოკავშირე რესპუბლიკათა სხვა საწარმოებში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები საქართველოს უდიდესი სამრეწველო საწარმოების რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის და სხვა საწარმოების საჭიროებებისათვის.

რესპუბლიკის მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტას.

დიდმნშვნელოვანი კვლევა მიმდინარეობს მათემატიკის დარგში, თეორიულ. და ექსპერიმენტული ფიზიკის ისეთ სფეროებში, როგორიც არის ბირთვული ფიზიკა და ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკა, დაბალ ტემპერატურათა ფიზიკა, მყარი სხ ე უ ლ ის ფიზიკა, ბიოფიზიკა, პლაზმის ფიზიკა და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანი შედეგ ებია მიღებული ვარსკვლავთა ასტრონომიისა და ასტროფიზიკის დარგში, გალაქტიკის აგებულების პრობ ლ ემ ებზე. ავსასთმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში იყენებენ პლანეტური სისტემის სხეულების და დედამიწის ზედა ატმოსფეროს ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა შესწავლის ახალ მეთოდებს.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტები და დაწესებულებანი გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ენ კვლევა-ძიებას, რომლის მიზანია მეტეოროლოგიურ მოელენებზე ზემოქმედების მეთოდების სრულყოფა, შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის ტექნოლოგიის შემუშავება. ისინი მონაწილეობენ სეისმური კვლევის საერთო-საკავშირო პროგრამაში.

ქართველ მეცნიერებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების პრობლემათა დამუშავებაში. ფიზიოლოგიები განაგრძობენ ადამიანისა და ცხოველების უმაღლესი ნერვული მოქმედების და ნეიროფიზიოლოგიის ძირითადი კანონზომიერებების, მოლეკულური ბიოლოგიის, ნერვული სისტემის ფუნქციური ბიოქიმიის პრობლემების და სხვა პრობლემების შესწავლას. სამედიცინო პრაქტიკისათვის დიდმნიშვნელოვანი კვლევა-ძიება წარმოებს ექსპერიმენტულ მორფოლოგიაში.

აღმოსავლეთმცოდნეებს სერიოზული წვლილი შეაქვთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე ოქტომბრის რევოლუციის ზეგავლენის, აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ლენინური იდეების როლის საკითხების დამუშავებაში. განვითარებული სოციალიზმის პირობებში სახალხო-სამეურნეო წარმოების აქტიური პრობლემებს იკვლევენ ეკონომიკისა და სამართლ ის დარგის სპეციალისტები.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, მისი განხორციელება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებს საშუალებას აძლევს ფართოდ შეისწავლონ ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის მიღწევები. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება არქეოლოგიურ ძიებათა ინტენსიურობაში, ენათმეცნიერებაში, ბიბლიოლოგიურ-ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი [illegible] ლიტერატურათმცოდნეობაში [illegible].

[illegible] სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების ცვლილ ებ ა ნ ი კერძოდ, ამიერიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალ ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს აირჩევენ ყოველ ორ წელიწადში და არა ოთხ წელიწადში ერთხელ, როგორც აქამდე იყო.

კრებამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიც-პრეზიდენტებად აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ი. ბერიტაშვილი და გ. ჯიბლაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ცაგარელი, ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ონანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე დაინიშნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემასრულებლად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა აირჩიეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ დაამტკიცა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დირექტორები.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲜᲐᲒᲘᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ — „ᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ“

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ რაიონის მშრომელებისათვის ღირსახსოვარი მოვლენაა ხოლმე კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა; ყოველი ღონისძიება მსმენელთა ცხოველ ინტერესს იწვევს. ამჯერად უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს გათვალისწინებული აქვს მოაწყოს ლექციების ციკლი— „მწერალი აკადემიკოსები“.

საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ გამართული მორიგი მეცადინეობა სწორედ ამ ციკლის პირველ ლექციას დაეთმო, რომლის თემა იყო „მწერალი აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე“.

მეცადინეობაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები გიორგი ციციშვილი, ოსეფ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი.

მეცადინეობა შესავალი სიტყვით გახსნა მცხეთის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ა. აფაქიძემ.

მოხსენება გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაზე გააკეთა მწერალმა გ. ციციშვილმა.

სიტყვა წარმოთქვა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

გრ. აბაშიძის ლირიკაზე მსმენელებს ესაუბრა მცხეთის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ. ქაჯაია.

მასპინძელთა სახელით საყვარელ მწერალს მიესალმნენ საგურამოს საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. უსნდილაშვილი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები, ილიას სახლ-მუზეუმის მეცნიერი შუშაკი ი. ფავლენიშვილი, მცხეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. გოგიშვილი.

დასასრულ გრ. აბაშიძემ შეკრებილთ გააცნო თავისი შემოქმედებითი გეგმები.

Ც. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲕᲐ.

● ●

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ — ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შარშან გამოქვეყნებული საუკეთესო ნაწარმოებისათვის ყოველწლიური ლიტერატურული პრემიები მიენიჭათ პოეტებს, პროზაიკოსებსა და კრიტიკოსებს.

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიით დაჯილდოდა პოეტი იოსებ ნონეშვილი.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემიები მიენიჭათ: პროზაში — მწერალ რევაზ ჭეიშვილს, პოეზიაში — პოეტ ნოდარ ჭალადღონაოს, დრამატურგიაში — მწერალ თამაზ ჭილაძეს, კრიტიკაში — მწერალ გურამ გვერდწითელს, პუბლიცისტიკაში — მწერალსა და კრიტიკოსს ხერგი ჭილაიას. (საქინფორმი).

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

ᲒᲕᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲝᲥᲛᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 11 აპრილს დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და პაკისტანის საგაჭრო დელეგაციების შორის, ხელი მოაწერეს ოქმს საქონლის ორმხრივი მიწოდების შესახებ, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ ორი ქვეყნის საგაჭრო ურთიერთობას 1980 წელს.

საბჭოთა კავშირი პაკისტანში გაგზავნის სხვადასხვა მანქანა-მოწყობილობას, შავი ლითონებისა ნაკეთილს, სასუქსა და სხვა საქონელს.

თავის მხრივ, პაკისტანი სსრ კავშირში გამოგზავნის ბამბის ქსოვილებს, შეკერილ ნაწარმს, ხალიჩებს, სათვალის ჩარჩოებსა და ეროვნული მრეწველობის სხვა პროდუქციას.

ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 აპრილი. (საქდესი). მრავალი დაპირების მიუხედავად, შეერთებული შტატები არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უცხოეთის სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლობების და მათი დიპლომატიური პერსონალის უშიშროება. ეს ქვლავ დაადასტურეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფელ ქვეყანასთან ურთიერთობის კომიტეტის სხდომის მონაწილეებმა.

სხდომაზე გამოსვლისას წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეუწყნარებელია არსებული მდგომარეობა, რომლის დროსაც ნიუ-იორკში განლაგებული დიპლომატიური მისიები განუწყვეტელი ტერორისტული თავდასხმების და მუქარის ობიექტი ხდება. უკანასკნელ წლებში ასეთი თავდასხმები მოეწყო სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, კუბის, ანგოლის, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ერაყის, ეგოსლავიისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლობებზე.

ვითარება, რომელშიც თავიანთი დიპლომატიური ფუნქციების შესრულება უხდებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლობებს, ოდნავადაც არ გუმჯობესებულა და სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა ს. ა. ორჯონიკიძემ.

სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობა არაერთგზის გამხდარა იძულებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობისათვის გაეგზავნა საპროტესტო ნოტები წარმომადგენლობისა და მისი თანამშრომლობის მამართ უკანონო და პროვოკაციული მოქმედების გამო. საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ 1979 წლის 11 დეკემბერს სსრ კავშირის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობასთან ბომბი აფეთქეს, ხოლო 1980 წლის 21 თებერვალს ტაყია დაუშინეს შენობას.

საგულისხმოა, დასძინა ორატორმა, რომ დამნაშავეები დღემდე ვერ უპოვიათ, მიუხედავად იმ აშკარა ფაქტისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციების სახელწოდებები, მათი მისამართები და მეთაურთა ვინაობა კარგად არის ცნობილი კერძოდ ამერიკის ხელისუფალთათვისაც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღგილსამყოფელ ქვეყანასთან ურთიერთობის კომიტეტის სხდომის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ასეთი ვითარება აშკარად ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, რომელმაც უკვე რამდენჯერმე მოუწოდა ამერიკის ხელისუფალთ იზრუნონ ყველა ღონისძიება, რათა უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უცხოეთის სახელმწიფოების მუდმივ წარმომადგენლობათა მისიების უშიშროება.

ᲐᲜᲢᲘᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲖᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ აძლიერებს ირანის წინააღმდეგ უხეში მუქარისა და სამხედრო შანტაჟის პროვოკაციულ კამპანიას.

პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბეჟინსკიმ გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების ყრილობაზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „გულხელდაკრეფილი არ იქნება“ და „აპირებს გამოიყენოს ყველა საჭირო საშუალება“ მძევლთა გამოთავისუფლებისათვის. როგორც ცნობილია, ბეჟინსკი თეირანის სახლის მიერ ახლა გაღებებული მილიტარისტული ანტიირანული ფსიქოზის ერთ-ერთი მთავარი დირიორია და მისი გამოსვლიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება მიზნად ისახავს ერთმანეთს წაჰკიდოს ირანი და ერაყი და ამ გზით პროვოკაციულად გამოიწვიოს დაძაბულობის გამწვავება ამ რაიონში. როცა აღნიშნა, თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის რაიონს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და მთლიანად დასავლეთის ა თ ვ ი ს, პრეზიდენტის თანაშემწემ მუქარით განაცხადა, რომ ვაშინგტონს შეუძლია მიმართოს „შესაბამის ღონისძიებებს“, თუ ირანსა და ერაყს შორის წარმოიშობა დიდი კონფლიქტი, რომელიც „საფრთხეს შეუქმნის დასავლეთის ინტერესებს“.

ამავე ყრილობაზე პრეზიდენტმა ჯ. კარტერმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს ყოველნაირად გამოიყენოს „ამერიკის ძლიერება“ ამერიკა-ირანის კრიზისთან დაკავშირებით.

სპარსეთის ყურის რაიონში საბრძოლო მოქმედებისათვის პენტაგონის მზადებას მოწმობს ფორტ-ბრაგის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) სამხედრო ბაზაში დაწყებული საშტაბო წვრთნაც.

ამავე დროს ვაშინგტონი ამზადებს პლაცდარმებს ირანისა და ამ რეგიონის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. გუნია, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჯანელიძე, ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბახალდინი, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ხაზარაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის „სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მეტალოგრიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ოკელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ტეხოვი.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველ ო ს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი დაწესებულებების საქმიანობა 1979 წელს მიზნად ისახავდა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, შემდეგნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის „ნაშრომებსა და გამოსვლებში საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები ამოშავებდნენ 183 პრობლემას, 794 თემას, აქედან 118 თემა დამთავრებულია, დაინერგა ან ინერგება წარმოებაში. მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებმა შეასრულეს ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო გეგმები. მეცნიერთა ნაშრომების წარმოებაში დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 30 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კრებაზე დაასახელეს საანგარიშო პერიოდის ძირითადი გამოკვლევები, რომლებსაც დიდი მეცნიერული და ეკონომიკური რეზონანსი აქვს.

ჭიათურის სამთამადნო კომბინატში დაინერგა მანგანუმის მადნებსა და გამდიდრების პროდუქტებში სილიციუმ-ფოსფორიანი ნაერთების განსაზღვრის ექსპრეს-მეთოდი, დამზადდა მანგანუმის შემცველობის კონცენტრაციის გამმსაზღვრელი ხელსაწყოს გაუმჯობესებული მოდელი.

ბეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივმა გამოიკვლია და შეისწავლა ენგურის წყალსაცავის სეისმური რეჟიმის პარამეტრების ცვალებადობა, ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტმა შეიმუშავა საქართველოს ტერიტორიის მეტალოგენური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-



ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲝᲛᲐᲚᲘ ᲯᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ, 12 აპრილი. ეთიოპიის ეროვნული არმიის ნაწილებმა მარტის შუა რიცხვებში გაანადგურეს ეთიოპიის ტერიტორიაზე შემოჭრილი სომალის რეგულარული ჯარების ქვეგანაყოფები, იუწყება ეთიოპიის ახალი ამბების სააგენტო.

ჰარარგისა და ბალის პროვინციებში საბრძოლო ოპერაციების დროს დაატყვევეს სომალიელი სამხედრო მოსამსახურენი, აგრეთვე ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

ეთიოპიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის ბრიგადის გენერლის მულატუ ნეგუშს განცხადების თანახმად, სომალის ქვეგანაყოფები ეთიოპიის ტერიტორიის სიღრმეში შეიჭრნენ 50-80 კილომეტრზე ქალაქების ვარდერის, მერკალის და ბარის რაიონში.

ახლახან გამართულ მოლაპარაკებაზე ეთიოპიამ და კენიამ დაგმეს სომალის ტერიტორიული პრეტენზიები მეზობელი სახელმწიფოების მიმართ.

კენიამ და ეთიოპიამ ყველა ქვეყანას მოუწოდეს თავი შეიკავონ სომალისათვის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ

ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲘ, 12 აპრილი. აქ გაიხსნა სომტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობენ ალჟირის, სირიის, დემოკრატიული იემენის, ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრები და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი ამდელ მოხსენ ამომიეზარი.

თათბირის მონაწილენი განიხილავენ ახლო აღმოსავლეთის რაიონში სადათის კაპიტულანტურ პოლიტიკასთან და ისრაელის განუწყვეტელ პროვოკაციებთან დაკავშირებით შექმნილი თანამედროვე ვითარების საკითხებს, აგრეთვე გზებსა და საშუალებებს, თუ როგორ განამტკიცონ პროგრესული არაბული ძალების რიგები იმპერიალისტური გეგმების ჩასაფშვნად, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხაროს არაბთა ერთიანობას.

თათბირის განხსნაზე გამოსულ ისას ლიბიის საგარეო საქმეთა უმაღლესი სახალხო კომიტეტის მდივანმა ა. ათ-თრეიკიმ მკაცრად გააკრიტიკა იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის ძალების ხრიკები ახლო აღმოსავლეთში. მან ხაზი გაუსვა, რომ სმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტის წევრთა ახალი შეხვედრა იქნება არაბი ერის პროგრესული ძალების პასუხი ეგვიპტის პრეზიდენტის მოღალატურ პოლიტიკაზე, ახლო აღმოსავლეთში ამერიკის იმპერიალიზმის მთელი ხრიკებზე.

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ

**

წლის ყოველი დრო თავისებური ეშხითა და ლაზათით გამოირჩევა თბილისში, მაგრამ გაზაფხულს მაინც არაფერი სჯობს.

თბილისისა და მისი მიდამოების გამწვანების საქმეს ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება რომ ექცევა, საყოველთაოდ ცნობილია. და აი, სწორედ თბილისის სიყვარულმა ჩამოიყვანა გუშინ ჩვენს დედაქალაქში ხაშურის რაიონის მშრომელები, რომლებმაც ათასობით ნერგი ჩამოიტანეს და დარგეს ვაჟა ფშაველას პროსპექტის ბოლოს გორაკებზე.

სურათებზე (ზემოდან): ვაჟა ფშაველას პროსპექტზე; თბილისის გამწვანებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ხაშურელმა მშრომელებმა ს. დევდარიანმა და ვ. ცუცქირიძემ; მიწისქვეშა ახალი გადასასვლელი თბილისში ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე.

ს. კილაძისა და ჯ. ლომაძის ფოტო.



ჩაუქრობელი შუქი

ტელევიზიონთან ბიბლიოთეკა

საეკლესიო ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოები, მით უმეტეს ლიტერატურული სიუჟეტის საფუძველზე შექმნილი, გულისხმობს მაყურებლის ჯულტურულ მოთხოვნილებებს, რომლებიც დღენიადაგ იცვლება. საჭიროა რაღაც არსებითი საფუძვლები, რათა ჩვენ დაძაბულად და გულისყურით ვუყურებდეთ ისეთ ლენტს, როგორიც არის „ნაპირები“ („დათა თუთაშხია“), რომელიც ესოდენ სპეციფიკურია მასალის თვალსაზრისით, მოკლეულია მოელვარე სიმსუბუქეს და თვითმიზნურ სანახაობრივობას, ესოდენ ტრაგიკულია თავისი ატმოსფეროთი.

ჭ. ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ ისტორიულ-ფილოსოფიური ნაწარმოებია, ძნელი გასაზრებელია, თუმცა სრულად დამსახურებულად გაითქვა სახელი. ფილმი კი მასობრივ აუდიტორიას გულისხმობს. ეკრანზეცამ მიაღწია მთავარ მიზანს: რომანის იდეებმა, თუმცა მთლიანად ვერ შეისხა ხორცი, თანამედროვე ელერადობა შეინარჩუნა და ამასთანავე თვალსანახაობრიობა შეიძინა.

აქ ავტორებმა (სცენარი თვით ჭ. ამირეჯიბს ეკუთვნის, რეჟისორები ირაკლი ბ. ლორთქიფანიძე და ბ. გაბესკირია, „ქართულმა ფილმმა“ სახტელევიზიოს შეკვეთით (ვადაციღო) გადალახეს რამდენიმე პრინციპული სიძნელე. მთავარი გმირის — მეამბოხისა და სეკეთესათვის მებრძოლის დათა თუთაშხიას სახე რომანში წარმოდგიდგება იმ სხვადასხვა ადამიანის მოგონებათა მეშვეობით, რომლებსაც ბედმა შეახვედრა იგი. ეს პორტრეტი მოძრაკი, იგი თითქოს ნამსხვრევებისაგან არის შედგენილი, ისე, როგორიც შემორჩა შორეულ თვითმხილველთა მეხსიერებაში. გმირის სახე მთლიანობას იძენს მხოლოდ ფილოსოფიური გააზრების შუქზე, რომლითაც გამსჭვალულია რომანის ფოლკლორული მოტივები, მასში შეჯავალი ნოველები. და თუ გნებავთ, ლიტერატურული დათა თუთაშხია არა იმდენად რეალური პერსონაჟია, რამდენადაც ცოცხალი მეტაფორა ადამიანის ხეტიალისა ცხოვრების ნაპირებს შორის, მის მორეულში, სადაც დღენიადაგ ერკინებიან ერთმანეთს სიყვარული და სიძულვილი, კეთილი და ბოროტი.

კინემატოგრაფს, სანახაობითს ხელოვნებას, უფრო ეძნელება ასეთი განზოგადებანი, თუმცა კი ეცდილობს მის დაუფლებას. ქართულ კინოს აქვს ივანე-ფილმების ტრადიცია, და მათი სიმბოლეა სრულიადაც არ უშლის ხელს ცხოვრების სრულყოფილ გამოვლენას მთელი მისი მრავალფეროვნებითა და პლასტიკურობით. მაგრამ ტელევიზიის ეკრანი, მრავალსერიიანი ლენტის ყანრი თავის კანონებს გვიკარნახებს, რომლებიც ვაითვალისწინეს ეკრანიზაციის ავტორებმა. აქ უფრო მიზანშეწონილია ეპიკური ზომიერება, სიუჟეტის სწორხაზოვანი განვითარება, რომელსაც არ უხდება არც დანაკუწება, არც მეკვრეტელობითი კონსტრუქციებით შემოფარგვლა, არის სხვა მოთხოვნაც: ფილმმა მძაფრად უნდა დაიინტერესოს მაყურებელი, და არა მარტო სიუჟეტური ხლართებით, რადგან, რაც უნდა იყოს, ასეთი ხლართები ვერ გასწვდება შვიდ სერიას, საეკრანო დროის რვა სათს.

„ნაპირებში“ მიგნებულია თხრობის ზუსტი ეკონომიური რიტმი: ავტორები არ ცდილობენ თავი მოუყარონ შემოქმედებითს ენერგიას რომელიღაც „მთავარ“ სერიებში, სამაგიეროდ არც დანარჩენ სერიებს „აცარიელებენ“. ამიტომ, და ეს იშვიათი შემთხვევაა ამ ბოლო ხანს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა დრამატურგის, რეჟისორისა თუ აქტიორების ცალკეულ წარმატებებზე ფრიად საშუალო შედეგის პირობებში, არამედ დავახასიათოთ ფილმი როგორც მრავალსერიიანი ტელეკინოს მთლიანი, მხატვრულად დამაჯერებელი მოვლენა.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ფილმის შემქმნელებმა ყველაფერს მიაღწიეს, თუნდაც თავი შეეკავებოთ რომანთან შედარებისაგან. სიუჟეტის კვანძი, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა სტადია, გვიჩვენებს იმ ისტორიული ფონის თავისებურ პირობითობას, რომელიც სურათში წარმოგვიდგა. ზოგჯერ მეტისმეტ ადგილს იკავებს მასში სათავგადასავლო ეანრის ატრიბუტები, სროლა, დევნა, დაკითხვები, პროვოკაციები... კავკასიის ეანდარმერიის საქმიანობა გასული და ახლანდელი საუკუნის მიჯნაზე ფრიად ეგზოტიკურად გამოიყურება: აქ არის ყაჩაღ-აბრაგებთან ბრძოლაც, რევოლუციური იატაკქვეშეთის მუშაობის მიგნიდან გახრწნის ცდებიც, მაღალი საზოგადოების ინტრიგებიც...

და მაინც, შეცდომა იქნებოდა, თუ ფილმში დავინახავდით რევოლუციით აბობოქრებული ეპოქის უშუალო ასახვას. ავტორები, ისტორიული სიმართლის გაუაზრებლად, ქმნიან გამოგონილ სიტუაციებს, რომლებშიც კონცენტრირებულია დრამატიზმი, გაშიშვლებულია დროის ზნეობრივი და იდეური კონფლიქტები, როცა ერისა და ვეუნის ბედი წყდება.

ფილმს ახასიათებს გამომახატველი მსხვილი პლანები — და არა მარტო იმიტომ, რომ ეს სატელევიზიო ლენტია. განზრახ მსხვილი პლანით არის წარმოდგენილი გმირების ახრები საქართველოს ისტორიულ ბედ-იღბალზე და რუსეთთან მისი კავშირის მნიშვნელობაზე. მაგრამ ეს ახრები არ მეორდება — ამ იდეების დრამს ფილმში განუწყვეტლივ მიმდინარეობს დიალოგი, პაექრობა უმაღლეს ადამიანურ ღირებულებებზე. თანაც ამ პაექრობაში სიტყვას არ ართმევენ იმ გმირებს, რომლებსაც ჩვენი იდეური თანაგრძნობის იმედი ვერ ექნებათ. მაგალითად, ასე თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ ახრებს კავკასიის ეანდარმერიის შეფი გრაფი სეგედი და ეანდარმერიის ოფიცერი მუშნი ზარანდია, რომელიც თავბრუდამხვევ კარიერას იკეთებს.

ყოველი მათგანი სუბიექტურად პატიოსანი კაცია, სწამს იმ იდეალების სიმართლე, რომლებსაც ემსახურება. მაგრამ წინააღმდეგობა ზრახვასა და საშუალებს შორის, ყალბად გაგებულ მოვალეობასა და ნამდვილ ვითარებას შორის შურს იძიებს მათზე: გრაფ სეგედზე — ყველა მისი შეხედულების კრახით, ფასეულობათა დაგვიანებული და მტანჯველი გადაფასებით; მუშნი ზარანდიაზე — პიროვნების საბოლოო, დამლუსველი გადაგვარებით, რომელიც ღალატით მთავრდება.

შეიძლება ითქვას, ფილმის „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების“ შემდეგ პირველად ვხედავთ ეკრანზე „მტრების“ ესოდენ ცხოვრებისეულ სახეებს, ამას კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალსერიიან ნაწარმოებში: თორემ გმირის გაუთავებელი გამარჯვებანი ხომ დამაჯერებელი აღარ იქნებან! ავტორებმა თავი დაალწიეს მეორე უკიდურესობასაც — როცა ამ სახეებს, სრულიად უსაუკუძვლოდ, რომანტიკულ ბურუსში ხვევენ ხოლმე.

ესეც კია, ზარანდიას ხაზი ფილმში შესულდა, ოჯახური კონფლიქტის პერიპეტიებად იქცა. საქმე ის გაჩნავთ, რომ მუშნი მთავარი გმირის დათა თუთაშხიას ბიძაშვილია და მასთან ურთად ვაზიარდა ერთ ჭერქვეშ. მათს ურთიერთობას, უწინარეს ყოვლისა, ძაბავს ის გარემოება, რომ ისინი, ყველაფრის მიუხედავად, ცდილობენ შეინარჩუნონ ძმობა, მაგრამ ამ ძმობის რღვევა ფატალურად ვარდაუვალია. რომანში მთავარი იყო არა პატრიარქალური ოჯახის მოტივი, არა ნათესაობა, არამედ სულიერი მსგავსება და ვანსხვავება ძმებს შორის, რომლებიც ჭეშმარიტებას ეძებენ, მაგრამ ერთი მათგანი იქ ეძებს, სადაც მისი პოვნა ყოველად შეუძლებელია...

სამაგიეროდ გრაფი სეგედი ფსიქოლოგიურად მრავალგანზომილებიანი პიროვნება აღმოჩნდა, ლიტერატურულ პროტოტიპს არ ვადაუზვია, და ამას უწინარეს ყოვლისა ამ როლის შემსრულებელს ი. იარვეტს უნდა ეფუმადლოდეთ. საერთოდ ფილმში ნამმული არ-ტილოგენებს, ეროვნული ფასეულობანი, თუმცა კი ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ეროვნული ეროვნული